№ 34 თებერვალი 17, ოთხშაბათი — 1893 — თებერვალი 17, ოთხშაბათი № 34

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1893

მარიკა ბაგრატიონ-მუხრანსკისა გარდაიცვალა 16 თებერვალს. პანაშვიდი დანიშნულია ოთხშაბათს, 17 თებერვალს, ნაშუადღევის პირველს საათს და საღამოს შვიდს საათზე. მიცვალებულს გაასვენებენ ხუთშაბათს, 18 თებერვალს დილის 10 საათზე ნათესავების სადგურიდგან, რომელიც ბაღის ქუჩაზეა № 49, წმ. გიორგის ეკლესიაში (ქაშვეთში). (1—1)

რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

(ძირის ფული 1.000,000 მან.)

ისყიდება 5%-იანი **მომგებიანი ბილეთები I, II, და III** სერიისა თვეში **ხუთ-ხუთ მანათის** გარდახდით. მსურველთ შეუძლიანთ მეტმეტიც იხადონ თვე-და-თვე.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი არა ნაკლებ **15 მანათისა.**

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა **65 კაპ.**

სააგენტო იმყოფება ველიამინის ქუჩაზედ, № 7, დილა 9 საათიდამ 2 საათამდე.

(50—1) აგენტი დ. ქ. თუთაევი.

რედაქციისაგან

შეიძლება დაკვეთა გაზეთისა 1 თებერვლიდამ წლის დამლევამდე, ფასი 9 მან. 50 კ. მსურველთ შეუძლიანთ ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.

ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 18 თებერვალს
მ. მ. საფაროვის გამგეობით
ქართულ თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება პირველად ამ სეზონში მ. საფაროვის და ანდრონიკაშვილის მონაწილეობით

თამარ-ცბიერი

ისტორიული დრამა 5 მოქმედებ. აკაკისა

დასასრულ წარმოდგენილი იქნება

ადვოკატთან

ვოდევ. 1 მოქ. ვალ. გუნიასი.

მოთამაშენი: ქ.ქ. საფაროვისა, ანდრონიკაშვილისა, რჩეულოვისა; ბ.ბ. აბაშიძე, სვიმონიძე, გუნია, გედევანოვი, ცაგარელი, შათიროვი, კანდელაკი და სხვ.

დასაწყისი 8 საათზედ
ადგილების ფასი ჩვეულებრივია

ტფილისი, 16 თებერვალი *)

მეურნეს დიდმა ცოდნამა და გამოცდილებამ იმით უნდა იჩინოს თავი, რომ მისმა სამეურნეო საქმემ ყოველ წლივ ერთის ზომისა და რაოდენობის შემოსავალი მისცეს. ასეთს ერთნაირს შემოსავალს ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს მწარმოებლისათვის, რადგანაც შემოსავალის მეტნაკლებობა ბევრ-გვარ უწესოებასა და არევ-დარევასა ჰბადავს მეურნეს საეკონომიო ყოფა-ცხოვრებაში.

სწორედ ამ სურვილის მისაღწევად სცდილობს ყოველივე მემამულე და მეურნე მოიყვანოს სხვა-და-სხვა გვარი მოსავალი, სცდილობს დასთესოს ყოველივე, რაც-კი უფრო უტყუარ შემოსავალის იმედს გვაძლევს, როგორც მიწა-წყლის და ჰავის თვისების, ისე იმ ადგილ-მამულ საეკონომიო თვისების მიხედულობით, სადაც მეურნე მეურნეობს.

თვით სამეურნეო მეცნიერება ყოვლის ღონისძიებითა სცდილობს დაიცვას შემოსავალი მიწის მომქმედისა დარისა და ამინდის ცვალებადობისაგან. ამ ჟერ ისევ ნორჩმა მეცნიერებამ ბევრი გააკეთა ამ დიდად საყურადღებო სურვილის განსახორციელებლად დღეს აქ მომდე და სამერმისოდ კიდევ უფრო ბევრის გაკეთებას გვპირდება. ვინც-კი იცის, ან გაუგონია, როგორ არის მოწყობილი გამოსაცდელი სამეურნეო სადგური გამოჩენილ სამეურნეო მანქანების მომგონ რუდოლფ საკკისა, პლაგვიცს, ლეიპციხს მახლობლად, არ შეუძლიან დიდის იმედითა და სასოებით არ უყუროს ამ ახლად ფეხადგმულს მეცნიერებას, რომელიც გვპირდება, ბევრ-გვარად გავიმარჯვებთ ბუნების სხვა-და-სხვა დამაბრკოლებელ მოვლენაზედ და იდეალებს-კი განუხორციელებელს არ დავტოვებთ. საკკის სამეურნეო სადგური სცდილობს ისეთი ღონე მოიგონოს და ისეთი მიმართულება მისცეს მეურნეობას, რომ მისის წყალობით მეურნემ ყოველთვის ერთ გვარის რაოდენობისა და, რაც შეიძლება, მეტის რაოდენობის მოსავალი მიიღოს, ხოლო ხარჯი-კი თუ არ გაამესამედოს, გაანახევროს მაინც. ჟერ-ჟერობით საკკს შემოუღია სხვა-და-სხვა გვარი მოწყობილება, რომელთ შემწეობითაც აცლის დედამიწას სინოტივეს, როცა მოჭარბებული აქვს, და ჰმატებს, როცა ნაკლებად ემჩნევა ეს სინოტივე. ამ გვარადვე ჰკვებავს და ასაზრდოვებს ამა თუ იმ მცენარეულობას სხვა-და-სხვა საზრდოთი, რომელიც მათთვის საჭიროა, უმატებს სითბოს, როცა მავნებელი სიცივეა, და სხ. ამას გარდა კაცის ძალ-ღონის მაგიერ საკკი ორთქლისა და ქარის მანქანებს ამუშავებს და ჰზოგავს ადამიანის ჯანსა.

ჩვენ გვრწამს შეძლებელობა მეცნიერებისა და ვფიქრობთ, რომ ოდესმე კაცობრიობა შეიძლებს ყოველ გვარი მავნებელი ცვლილება ბუნებისა თავიდამ მოიშოროს მეცნიერების წყალობით. დღეს-კი, ვიდრე ეს სანატრელი დრო დადგება, უნდა ვეცადოთ გამოვიყენოთ ის, რაც უკვე მოუნაღვაწებია მეცნიერებას დღევანდლამდე და რაც გავრცელებული არ არის მიწის მომქმედთა შორის. ეს ერთის მხრივ. ხოლო მეორეს მხრივ არც ის უნდა დავმალოთ, რომ ჟერ-ჟერობით თვით მეცნიერებაც უძლურია და უღონო. ჟერ-ჟერობით, მაგალითად, მეცნიერების ძალა ბუნების ზოგიერთ მოვლენათა წინააღმდეგ მეტად და მეტად სუსტია. ამ მოვლენათა შორის სეტყვას პირველი ადგილი უჭირავს. სეტყვა ხშირად ჰღუპავს სოფლის მუშაკს, აქცევს და ანელებს მის ოჯახს, ლუკმა-პურს უწყვეტავს მხნელ მთესველს და მევენახეს და ბინადარ კაცს სდევნის თავის ბინიდამ ცხოვრებისათვის სხვა ღონისძიების მოსაძებნად. სხვა მიზეზებიც არის, რასაკვირველია, რომელიც სულს უწუხებს მეურნეს: მიწის სიმცირე, სიმწირე და გამოფიტვა, მოუსავლობის გახშირება და სხ. ყოველისავე ამ გვარ უბედურების ასაცილებლად მეცნიერებას თავისი წამალი აქვს დასახელებული. შინაგან საეკონომიო-პოლიტიკის საუკეთესოდ წარმართვით და სამეურნეო სწავლა-განათლების გავრცელებით შეიძლება ყოველივე ეს უბედურება აცილებულ იქნას, ხოლო სეტყვისაგან დაზარალებას, ვერას გზით კაცი თავიდგან ვერ აიცილებს.

სამეურნეო სწავლა-განათლებას მოკლებული გლეხკაცი ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ დაზარალდა მოუსავლიანობის გამო. ამიტომ ამჟამად გაჭირვებულნი ხვნელ-მთესველნი და მეურნენი იძულებულნი არიან მიჰმართონ დაზღვევას, როგორც ერთად-ერთს საშუალებას გალატაკებისა და გათახსირების ასაცილებლად. მეურნენი იმას-ც-კი ამტკიცებენ, რომ საჭიროა შემოვიღოთ დაზღვევა მეურნეობაში ყოველ გვარ მავნე მოვლენისაგან და თვით მოუსავლობისაგანაც-კი. 1885 წელს ბერლინში დაარსებული დამზღვეველი საზოგადოება „ცერესი“, და „მაგდებურგის საზოგადოება“ კისრულობენ არამც თუ მოსავლის სეტყვისაგან დაზღვევს, არამედ ქარისა და ყინვისა და კერძოდ-წოდებულ „ზანგის“ ავადმყოფობისაგანაც-კი. მაგრამ ეტყობა, რომ ხალხის ხსოვნაში უფრო მეტად არის დარჩენილი საზარო შედეგი სეტყვისაგან წარმომდგარის ზარალისა. სხვა გვარ ზიანს მეურნეობისას საზოგადოდ ქვეყანა უფრო ადვილად იტანს. მარტო ამითი თუ შეიძლება ავხსნათ ის გარემოება, რომ აქამომდე მეურნეობაში, აგერ მთელი საუკუნეა, რაც მარტო

---

*) სეტყვისაგან პირნახულის და ვენახების დაზღვევის შესახებ აგრონომმა ბ-ნმა არ. ფირალოვმა იანვრის 26 წაიკითხა ვრცელი მოხსენება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წინაშე. რადგანაც სეტყვა დიდ ზარალს აძლევს ქართლ-კახეთის მეურნეობას და ჩვენს ლიტერატურაში-კი ამ საგანზე თითქმის არაფერი თქმულა, ამიტომ ჩვენის თხოვნისამებრ ბ-ნი ფირალოვი დაგვპირდა, გააცნოს ჩვენი მკითხველები ამ საგანს. ეს პირველი წერილი იმ მოხსენების დასაწყისია.

რედ.

ფელეტონი

„ადამიანი!..“

(შემდეგი *)

ის იყო თუნუქის ჩაიდანში წყალი ადუღდა, რომ თედომაც შემოაღო კარი.

— ბიჭის, ჩვენ გვეგონა, ცდა დაგვჭირდებოდა, შენ-კი მაგრე ჩქარა მოხვედი! ერთ-ხმად წამოსძახეს ყველამ და მაშინვე ფაცაფუცი შეუდგათ, რომ უკედ შემოსხდომიყვნენ ტაბლას.

— დაუმადლეთ ჩემ შეგირდს!

— როგორ, შინ არ დაგიხვდა? ჰკითხა გაბომ.

— ღმერთმა უშველოს! წამოიძახა გიგლამ გაბოს კითხვის შემდეგ.

— შინ-კი დამიხვდა, მაგრამ ისე გამაჯავრა, რომ გამოვექეცი.

— როგორ, ხომ დაგეკარგება გაკვეთილი?!

— თვითონაც რომ ძალიან მოისურვონ ჩემი იქ მისვლა, მე აღარ წავალ.

— რა მოუვიდა, რომ მაგრე გასწყრომიხარ?

— ეშმაკმა რომ წაიღოს იმისი თავი! ღმერთმანი ჩემი ამბავი სასაცილოც არის და სამწუხაროც. კაცო, ის იმოდენა ჩოკინაა, მეხუთე კლასშია და იმოდენა არ იცის, რომ, როცა რეპეტიტორი უხსნის, ყურის გდება უნდა...

— მერე რა მოუვიდა? ცნობის მოყვარეობით ჰკითხა გაბომ და ჩაიდანი ტაბლაზედ დადგა.

— ისა, რომ, მე გამალებული ალგებრის ამოცანას ვუხსნი, ვეჩქარები, არ დამიგვიანდეს-მეთქი და ისკი ამ დროს ვინ იცის სად დაფრინავს!.. მე ვეკითხები „შემდეგ რა მოქმედებას უნდა მივმართოთ, რომ“... იმან გამაწყვეტინა კითხვა და: „ხვალ სტუმრად მივდივართ და იქ ჩემს პაპას ვნახავთ“,—მითხრა. ეს კიდევ არაფერი, ცოტა ხანს შემდეგ, ეშმაკად იმისმა დამ ზალაში ფორტეპიანოზედ რაღაც ვალსი დაუკრა და ამ ბიჭს ელექტრონივით დაუარა ტანში. პასუხის მაგივრად იმან ხმის აყოლება და სავარძელზედ მჯდომარემ ნაზად მთელის ტანით რხევა დაიწყო; მერე, როცა უფრო ეშხზე მოვიდა, წამოვარდა და თავგადაგლეჯით ცეკვა მორთო.

მე ვეუბნები: „რა გემართებათ, მოდით!“ შენ არ მომიკვდე, რომ იმან ყური არც-კი მათხოვა. ვზივარ და ველი, როდის მოიკლავს ცეკვის ჟინს-მეთქი, რომ განვაგრძო. იმისიდა-კი უფრო და უფრო უკედ უკრავს და ფორტოპიანოს გრიალი გააქვს. „ადექით ვიცეკვოთ!“ უეცრად დამტაცა ხელი და წამომაყენა. მე ისეთი ჯავრი მომივიდა, რომ კინალამ სილა არ ვაჭამე. კიდევ კარგია, თავი შევიმაგრე, თორემ, შენი მტერი, სისულელეს ჩავიდენდი რასმე. მე გავაშვებინე ხელი და ხმის ამოუღებლივ წამოვედი...

— ნეტავი მაშინ იქ ვყოფილიყავი და დამენახა შენი თავი, როგორ შემოგატრიალებდა შენი შეგირდი! ხარხარით წამოიძახა ფიდომ, რომლის ხარხარსაც ბანს აძლევდნენ დანარჩენებიც.

თედოს ამბავმა ყველანი გულიანად გააცინა. იცინოდნენ დიდხანს და თან მასხარაობდნენ. იცინოდა თედოც...

— ხვალ მივწერ იმის მამას, რომ აღარ შემიძლიან იმის შვილთან მეცადინეობა.

— შენა გგონია, შეგეხვეწებიან! თითქმის ყველამ ერთად უთხრა თედოს.

— ნუ შემეხვეწებიან-რა! თავი მოსაკლავი-კი არა მაქვს, რომ ყოველ დღე ნაღველაზედ ვსკდებოდე!

— თუ დაანებე, ხვალ გაკვეთილს იშოვი აი!

— არ ვიშოვი და ჯანი და სული წაუვიდეს! ისევ სიმშილით სიკვდილი სჯობია, ემაგნაირ გულის ხეთქებას. ეგ ერთხელ რომ მოჰსვლოდეს, კიდევ არაფერი, მაგრამ თითქმის ყოველ გაკვეთილზედ მაგრე იქცევა. ათასი სისულელე უნდა ჩაიდინოს.

— ხვალამდის დაგვიწყდება, ჩემო თედო! ჯერ მოდი ემას მოველაპარაკოთ! წამოიძახა გიგილომ და არაყი დაასხა.

— ეს შენი შეგირდის დაჭკვიანებისა იყოს! სიცილით წამოიძახა იმან და სავსე ჭიქა უეცრივ გამოცალა.

ამით აუხსნა გიგილომ დანარჩენებს პირი. ყველამ ჩამოირიგეს ორორი ჭიქა და თან გამძლებულებმა ჭამა დაიწყეს. დალიეს კიდევ და დალიეს. კიდევ, კიდევ და კიდევ. როცა არაყმა თავისი ძალა გამოჩი-

---

*) იხ. «ივერია», № 31.

სეტყვისაგან არის მიღებული დაზღვევა.

არც ერთს წარმოებას არ შეუძლიან იხეიროს, აღორძინდეს და წარმატებაში შევიდეს, უკეთუ წარმოების მოთავე დარწმუნებული არ არის, რომ მისი შრომა ამაოდ არ ჩაივლის და საქმეში დაბანდებული თანხა ტყუილ-უბრალოდ არ დაეღუპება. ბუნების ყოველ მოვლენათა შორის, უფრო უწყალო დამღუპავი კაცისა ცეცხლი და სეტყვაა. მოულოდნელად და ერთბაშად აქრობს ერთიცა და მეორეც კაცის სიმდიდრეს და რამდენისამე საათის განმავლობაში მდიდარს კაცს ღარიბ-ღატაკად გადააქცევს ხოლმე.

დაზღვევის აზრი ის არის, რომ დაეხმაროს ასე უცბად გაღატაკებულს კაცს, დაუბრუნოს, რაც შეიძლება მალე, ნაწილი მისის დანაკარგისა, ზარალისა და ამ გვარად კვლავ ძალღონე მისცეს, რომ ხელ-ახლად შეუდგეს თავის წარმოების და სხვა-და-სხვა მოსავლის მოყვანის საქმეს.

ამ უმთავრესის აზრის მისაღწევად და ურთი-ერთობის დასახმარებლად დღეს მეურნეებს ერთად-ერთი ღონის-ძიება აქვთ—დაზღვევა. გარნა ეს ისეთი დახმარება-კი არ არის, რომელიც ამცირებს ადამინის ღირსებას; იგი დამყარებულია დამზღვევთა საერთო ხელ შეკრულობაზედ, რომლის ძალითაც თითოეულს ვალად სდევს დაეხმაროს იმას, ვინც იზარალებს.

დაზარალებულთა დასახმარებლად ფული გროვდება ყოველ წლიურის მცირე შესატანით (Страховая премія) და ეს წვეთ-წვეთად შეგროვილი ფულია ის თანხა, რომელმაც უნდა გასცეს პასუხი დაზარალებულს და სეტყვისაგან გაჭირებაში ჩავარდნილს წევრსა და ამხანაგს.

ა. ფირალოვი

◆ ◆

ახალი ამბავი

⁂ კვირას, 14 თებერვალს, მისმა უგანათლებულესობამ ბუხრის ემირმა დაათვალიერა კავკასიის საბრეშუმო სადგური. ემირმა სადგურის უფროსს ნ. ნ. შავროვს უბოძა ოქროს ვარსკვლავი მეორე ხარისხისა.

15 თებერვალს „პირუტყვთა მფარველ საზოგადოების“ დეპუტაციამ მიართვა ემირს დიპლომი ამ საზოგადოების საპატიო პრეზიდენტობისა. ემირმა დიპლომი მიიღო და სთქვა, დიდად თანავუგრძნობ თქვენ საზოგადოებასაო; ამასთანავე საზოგადოების თავმჯდომარეს უბოძა ოქროს ვარსკვლავი მესამე ხარისხისა.

⁂ 15 თებერვლისთვის დანიშნული კრება ტფილისის ქალაქის საბჭოსი არ შესდგა, რადგანაც წევრთა კანონიერი რიცხვი არ გამოცხადდა.

⁂ გზათა მინისტრს განუზრახავს, რკინის გზის 1891 წლის მოგებიდგან დაურიგდეს რკინის გზის მოსამსახურეთ საჩუქრად 78 ათასი მანეთი. საჩუქარს მინისტრისავე განკარგულებით არ მიიღებენ ის მოხელენი, ვინც სახელმწიფო სამსახურში ითვლება და ვისი წლიური ჯამაგირიც 2,000 მანეთს აღემატებაო.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს გამმიჯვნელი განყოფილება მარტის პირველს გაემგზავრება ლეთისისა და იდუმალის საზოგადოებათა საქმეების განსახილველად.

⁂ კავკავიდგან იწერებიან, რომ 11 თებერვალს გაჰქურდეს კასა კავკავის სამხედრო გზის გამგებელ ბ-ნ გეიდარისა. ავაზაკებს გაუტანიათ 600 მან. ფულად და 500 ვექსილი და კვიტანციები. დამნაშავენი ჯერ ვერ უპოვნიათ. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 14 თებერვალს მოხდა წლიური კრება ტფილისი 1-სა და მე-2-ის გილდის ვაჭრებისა. კრებამ ამოირჩია—ვაჭართა სტაროსტად ე. ა. დავიდოვი და მის თანაშემწეებად—კ. მ. ალიხანოვი და ე. მ. აკოფოვი.

⁂ სოფ. დარღავსი (კავკავის მაზრა): სოფელს დარღავსში და სამებაში, საშინლად მძვინვარებს წითელა, რომელიც დიდს ზარალს აძლევს მცხოვრებთ. სოფ. ხუმელაგაშიაც ყვავილმა იჩინა თავი.

⁂ სოფ. ხუმელაგა (კავკავის მაზრა): ოც-და-რვას წარსულ იანვრისას, კავკავის ეპისკოპოსის, თეოდოსიის, ნებართვით, მიიღო მართლმადიდებელი სარწმუნოება, როსტოველმა მოქალაქემ, ებრაელმა გერში ვიდელშტეინმა, რომელსაც სახელად ეწოდა „გიორგი“. ახლად ნათელ ღებული ებრაელი ოცდა შვიდის წლის კაცია და ძრიელ სასოებითაც მიიღო მართლმადიდებლობა.

⁂ გაზეთ „Нов. Обоз.“-ს შეუტყვია, რომ ტფილისის მართლ-მადიდებელ სასულიერო სემინარიის ინსპექტორად დანიშნულ იქმნა არდონის სასულიერო სასწავლებლის (ოსეთშია) მასწავლებელი მღვდელ-მონაზონი იოანე, გვარად რახმანოვი.

⁂ გაზეთ „Касп.“-ის სიტყვით, ქ. ბაქოში განუზრახავთ დაარსონ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელსაც საგნად ექმნება წერა-კითხვა გაავრცელოს მთელ ბაქოს ოლქში.

⁂ „Т. Л.“-ს შეუტყვია, რომ კავკასიის რკინის გზის მმართველობამ მიჰმართა რკინის გზათა უმთავრესს გამგეობას და სთხოვა, ბაქოდგან—ბათუმამდე რკინის გზის მეორე ლიანდაგი გაიმართოსო, რაც ფრიად საჭიროა ვაჭრობისა და აღებმიცემობის გასაძლიერებლად. ამ ლიანდაგისთვის საჭიროა 41 მილიონი მანეთი. კავკასიის რკინის გზის გამგეობამ თხოვნასთან ერთად წარადგინა ამ ლიანდაგის გაკეთების პროექტი და მოკლე ხარჯთ-აღრიცხვა.

⁂ 14 თებერვალს პოლიციის მეშვიდე ნაწილში სათადარიგო ფერშალი ალექსანდრე კულიკოვმა თავის მოკვლა განიზრახა და საწამლავი დალია. კულიკოვი სამკურნალოში გაჰგზავნეს საექიმოდ.

⁂ 14 ამ თვისას თელავის მცხოვრებელის ქალმა 23 წლისამ ქეთევან სარქისოვისამ ავჭალის ქუჩაზე თავის მამასთან შეცდომით წამალის მაგიერ კარბოლის სიმჟავე დალია. ქალი სამკურნალოში გაჰგზავნეს და იმავე ღამესვე გარდაიცვალა.

⁂ კავკასიის სააფთიაქო საწყობის გამგებელმა ალიხანოვმა პოლიციაში გამოუცხადა, რომ 15 თებერვალს, ღამით, განოვის ქუჩაზე, ვიღასაც აფთიაქის გაქურდვა მოუწადინია და საქონლის საწყობის კარი გამოუბურღავსო. ამ საქმის გამო გამოძიება დანიშნულია.

◆ ◆

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა საგანგებო კრება

14 თებერვალს

თ. დ. ავალიშვილმა სთქვა დაახლოვებით შემდეგი: თ. გურამიშვილის სიტყვის დასაფასებლად საჭიროა მოვიგონოთ ერთი მისივე წინანდელი აზრი: შარშან ხოლერისთვის რო უნდა გადაგვედო 12 ათასი მანეთი 1892 წლის ანგარიშში, თ. გურამიშვილი ამბობდა, კანონიერი იქმნებაო; ეხლა-კი ამბობს ამ წლის ანგარიშში ფულის გადება კანონის წინააღმდეგიაო. როდის ამბობდა მართალს, წინად თუ ეხლა? თ. გურამიშვილს შეეძლო სხვაფრივ გაეწია წინააღმდეგობა, ეთქვა რამე თვით გზის მოუხერხებლობაზედ, უსარგებლობაზედ და სხვა; და არა ის, რომ უკანონოა ფულის გადადება ან შარშანდელ, ან წლევანდელ მოგებიდამ. ეხლა თვით საქმეზედაც მოგახსენებთ, კანონიერია, თუ არა რკინის გზისათვის ფულის ხარჯვა. ჩვენს წესდებაში პირდაპირ არის დასახელებული ის სასარგებლო საქმე, რაზედაც ეხლა ვლაპარაკობთ—გზის გაყვანა. მაშასადამე, კანონს არაფრით დავარღვევთ, თუ გზას ბანკის მოგების ფულს მოვახმარებთ.

ჩვენის აზრით, სრულიად კანონიერი საქმეა მოგება თვისი მოიხმაროს დაწესებულებამ იმოდენად, რამოდენადაც მისი რაოდენობა ნებას აძლევს საანგარიშო წლის განმავლობაში. როცა ამბობენ, და მეც თვითონ ვამბობდი, რომ ძნელია, საშიშია, უკანონოდ ადვილად საცნობია ისეთის ხარჯის გაწევა, რომლის ანაზღაურება უნდა მოხდეს რამდენისამე წლის განმავლობაში მოგებიდამაო, ამის მთქმელნი ხელმძღვანელობენ შემდეგის მოსაზრებით: ადამიანს არ შეუძლიან განსჭვრიტოს მერმისი, თვალი გადუწვდინოს საქმეთა მიმდინარეობას შორს მანძილზედა და ხანგრძლივს დროთა-სვლასაო. რა მოხდება ერთის წლის განმავლობაში, ამისი მიხვედრა, ამისი ცოდნა ადამიანისათვის არ არის ძნელი და დიდად გასაჭირი, ხოლო ცოდნა იმისი, რაც მოხდება ხუთისა და ათის წლის შემდეგ ყოვლად ძნელია, შეუძლებელიც-კი. სრულიად სხვაა, როცა სჯა გვაქვს ერთისა და ორის წლის აპერაციების შესახებ. ამ შემთხვევაში ადვილად შეგვიძლიან წინდაწინვე ვიანგარიშოთ, ვივარაუდოთ, თითქმის ზედ-მიწევნით ვსთქვათ, რაც-კი მოგება გვექნება წელსა და მერისსაც-კი. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს მოგება შარშანდელზედ ნაკლები არ უნდა იყოს, ამიტომ არავითარ საშიშსა და ბანკის დამღუპველს საქციელს არ ჩავიდენთ, უკეთუ წესდებით ნება-დართულ საქმისათვის გადავდებთ, თუ შარშანდელი მოგება არ გვეყოფა, წლევანდელ მოგებიდამ 15,000 მან. ასსა და ორას-ათასს ხომ არ ვვარაუდობთ გადასადებად. ვვარაუდობთ იმდენს, რის სრული იმედიცა გვაქვს, რომ ამ წლის გასულს კასაში გვექმნება.

თ. ნ. დიასამიძემ ყურადღება კრებისა მიაქცია იმ გარემოებას, რომ ჩვენი მოძმე-კახელნი დიდს გაჭირვებაში არიან უგზოობის გამო, გვთხოვენ მიშველებას და ჩვენ მოვალენი ვართ ძმურად ხელი გავუმართოთო.

შაჰაზიზოვმა ამას დაუმატა, რომ ამბობენ, ვითომ უკანონობა იქნება ფულის გადება დღეს შარშანდელის მოგების უქონლობის გამო, ფული გადავდოთ წლევანდელ მოგებიდამ კახეთის რკინის გზისათვის. მე-კი ვამბობ, რომ უკანონობად-კი არა, დანაშაულობა, დიდი და მოუტევებელი ცოდვა იქნება ჩვენის მხრივ ქვეყნისა და შთამომავლობის წინაშე, უკეთუ ეგ ფული არ გადავდეთ და, რაც შეიძლება საჩქაროდ, არ ვეცადეთ კახეთის გზის გაყვანას. ეგ საქმე 30—40 წლის წინად უნდა შესრულებულიყო. ყოველი წუთი, ყოველი საათი დაგვიანებისა დაამძიმებს ჩვენს ცოდვას, ჩვენს დანაშაულს ჩვენთა შვილთა და შვილიშვილთა წინაშე. ეგ გზა არა თუ კახეთს მოუტანს დიდს სარგებლობას, არამედ ტფილისსაც ბევრს შესძენს. ამიტომ ვსთხოვ კრებას, ნუ აყოვნებს, გადასდოს ფული და ეცადოს, რაც შეიძლება, მალე, ჩქარა აღსრულდეს სურვილი კახეთში გზის გაყვანისაო.

თ. დ. გურამიშვილმა მოახსენა კრებას, რომ მეც გულითა და სულით მოწადინებული ვარ კახეთის გზის გაყვანას და აღტაცებით მივეგებებოდი თ. დიასამიძისა და შახაზიზოვის გრძნობით ნათქვამს სიტყვებს, მაგრამ, რას იზამთ, როცა ფული არა გვაქვს, როცა სიფრთხილით და კა-

---

ნა და ენა ამოადგმევინა, მაშინ შესვენეს ბოთლი და ბაასს მოჰყვნენ: ბაასობდნენ თავიანთ წარსულისას, აწ-მყოსას და მომავლისას. ბევრი ვარამი და დარდი, ბევრი ავი და კარგი მოაგონდათ წარსულისა და შესაფერი გრძნობა იპყრობდა იმათ გულს, რის მიხედვითაც იმათი სახე ხან იღრუბლებოდა და ხან იდარებდა; ხოლო ეხლა უფრო მკაფიოდ და ნათლად ამჩნევდა კვალს იმათ სახეს გრძნობა, ვიდრე სიფხიზლეში; ეხლა გრძნობაც უფრო ღრმად, მთელის არსებით იპყრობდა იმათ. ყოველი მათი სიტყვა უფრო გრძნობით ითქმოდა, რის გამოც ერთ-მანეთზედ უფრო ძლიერად მოქმედობდნენ.

არც ერთი ღირს-შესანიშნავი შემთხვევა, თუ-კი რაიმე მნიშვნელობა ჰქონია იმათ ცხოვრებაში, მოუგონებელი არ დარჩენილა.

წარსულიდგან და აწ-მყოდგან თავიანთ შეუმჩნევლად მომავალზედ გადვიდნენ. თუ წარსულიდგან უკვე მომხდარს ამბებს იგონებდნენ და ამის შესახებ მსჯელობდნენ, ხოლო ის-კი ვერ გამოეკვლიათ, თუ რანი იყვნენ და რანი არიან, მომავალიდგან ხომ სულ ველარა სთქვეს-რა და მსჯელობის ძაფი გაუწყდათ.

ვერც ერთმა მათგანმა ცოტად თუ ბევრად ვერ დაასურათა თავიანთი მომავალი, ვერ გამოარკვია, თუ რისთვის ითმენდა წარსულში ან ითმენს ეხლა ამოდენა სიდუხჭირეს; რა იქნება და ან რას გააკეთებს მომავალში, როცა ცხოვრების მორევში ჩაერევა. ყოველივე ეს ბუნდით იყო მოცული. მარტო ჰგრძნობდნენ, სწამდათ, გონების თვალით ჰხედავდნენ შორს, ძალიან შორს რაღაც ბრწყინვალეს, რომელსაც უნდა ემსახურნენ, რაც იდეალად უნდა ჰქონოდათ, მაგრამ იმას-კი ვერ მიჰხვედრილიყვნენ, თუ ეს საგანი რა იყო; ვერ გამოერკვიათ, ღირსი იყო ეს საგანი იმისი, რომ იდეალად დაესახათ, მაგოგად გაეხადნათ, რომელსაც უნდა ემსახურნენ და სიცოცხლე შესწირონ, რომელიც აწ-მყოში და მომავალში უნდა აღფრთოვანებდეს. იქმნება ეს შავ ფარდის იქით მბრწყინავი საგანი მათი მუცელი იყოს, რომელსაც დაულია ხახა და მარტო ამას გაიძახის: „მე მომიტანეთ მსხვერპლი, მე!.. ჩემს გარედ ყოველივე ფუჭია!..“ არა, არა!.. გინდაც ეგ გაიხადონ მომავალში თავიანთ კერპად, ეხლა მაინც არ იყაბულებენ ამ აზრს; ამის გაგონებაც-კი ჟრუანტელს მოჰგვრის ტანში ისე, როგორც ეხლა ფიდოს სიტყვებმა მოჰგვარა. როცა იმან მუცელზედ ხელი დაიკრა და დაიძახა: „აი, ჩვენი პირველი და უკანასკნელი „მიზანიო!“

— დამისხით არაყი!... უეცრივ შესწყვიტა თედომ სიტყვა. თედო ამტკიცებდა დიდის გრძნობით თავიანთ უნუგეშო მდგომარეობას. ახლა უცებ მიჰმართა გიგილოს, რომლის წინაც ბოთლი იდგა.

— დამისხი! კიდევ წამოიძახა მან და, როცა სავსე ჭიქა მიაწოდა გიგილომ, სწრაფად გამოსცალა.

— კიდევ!... სასოწარკვეთილებით წამოიძახა და ცალიერი ჭიქა გიგილოს გაუწოდა, რომელმაც გაკვირვებით მაშინვე აუმსო, რადგან თედო ამ ნაირად აღელვებული ჯერ არ ენახა.

— მეგობრებო, განაგრძო შეწყვეტილი სიტყვა მისუსტებულის ხმით, როცა ჭიქა აუვსეს,—ჩვენ ეხლა გალიაში ახლად გამომწყვდეულ ლომს ვემგზავსებით, რომელიც ხან ერთ კედელს ეცემა და ხან მეორეს; უნდა გასვლა, მაგრამ ვერ გაუნგრევია მისი კედლები. ჩვენც ხან იქით ვეცემით და ხან აქედ, ხან ერთს საგანს ჩავჭიდებთ ხელს და ხან მეორეს; გვინდა ესეც, ისიც; გვინდა ამასაც მოვკიდოთ მაგრად ხელი და იმასაც, და ვერც ერთს-კი ვერ მივწვდომივართ, არა გვაქვს გამორკვეული საგანი ცხოვრებისა, იდეალი. ჩვენის წინაპრების სასურველ-სატრფიალო უარ-ვყავით, ის აღარ გვაკმაყოფილებს, ახალი-კი ჯერ არა შეგვიქმნია-რა. ძნელია ამ ნაირი უკიდურესი მდგომარეობა, ძნელი, და როდის მოელება ბოლო ამისთანა ყოფას, ამის გამოცნობაც ძნელია. ვინ იცის, იქმნება სულ ამ მოკლე ხანში მოეღოს ბოლო, რადგანაც ცოტაოდენს ნიშნებსა ვხედავ და ეს, ცოტა არ იყოს, იმედის ნაპერწკალს გვიღვივებს... ვწუხვარ, ვწუხვარ სულითა და ხორცით. რომ ჩვენ ამ... ჰუ!.. ჰუ!. ჰუ!.. თედომ ველარ დაათავა სიტყვა, რადგანაც ხმა მიუწყდა და ძლიერი ხველა აუვარდა.

თედომ დასდგა სავსე ჭიქა და ნახველს თითები შეუშვირა. ნახველს ერთი ვეება სისხლის კუნთი ამოაყოლა. ამხანაგებმაც და თითონაც ეს გარემოება კარგად შენიშნეს.

— აი... შედეგი ამ მდგომარეობისა!.. ნეტავა თქვენ!.. იქნება მოესწროთ ამ უკიდურეს მდგომარეობის მოსპობას, მე-კი... მე-კი, ეჰ!.. მწარედ ჩაიქნია ხელი და მოსხლეტით დაეშვა ტახტზედ.

(დასასრული იქნება)

შ. არაგვისპირელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნონიერად მოქმედებაა საჭირო საკრედიტო დაწესებულებისათვის. თ. დ. ავალიშვილი ტყუილად ბრძანებს, რომ ვითომ ორს, სწორედ და ზედ-მიწევნით ერთ ნაირს საქმეში, შარშან და წელს მე სხვა ნაირად ვიქცეოდე. გარჩევა ამ ორ საგანს შორის დიდია და ამას დანახვა უნდა.

თ. ილ. ჭავჭავაძემ თ. გურამიშვილის ასე-ისეობაზე ილაპარაკა ჵ სთქვა, სხვათა შორის, რომ შარშან ხოლერისთვის ფული გავიღეთ ისევ იმ წესით, რა წესითაც დღეს გვინდა გავიღოთ რკინისგზისთვისაო და ბ-ნმა გურამიშვილმა, არამც თუ უკანონოდ არ იცნა, ხოლერისთვის ფულის გადასადები განაჩენი თავის ხელის მოწერით შეამოწმა. იგივე გურამიშვილი წელსაც გვპირობს ამავე წესით ფული გაგვაღებინოს მოსალოდნელ ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად. ზედამხედველი კომიტეტი, რომელმაც ხუთის ხმით წინააღმდეგ ოთხისა ამ 15,000 მანეთზე კახეთის გზას უარი განუჩინა, ამ ნაირს უარს იმაზე აფუძნებს, სხვათა შორის, რომ წინ ხოლერის მოსევა მოგველისო და ამ საჭიროებას გაძღოლა უნდაო. ამ ხუთთა შორის ბ-ნი გურამიშვილიც არის. ასეთს განაჩენს რომ ბ-ნი გურამიშვილი ხელს აწერდა, საიდამ სურდა ფული გაეღო ბანკს ხოლერისათვის, თუ არ 1893 წლის მოგებიდამ, რომელიც ჯერ არც გამორკვეულია და არც დამტკიცებული და რომელიც გამოირკვევა მხოლოდ ამ წლის გასულს და დამტკიცდება 1894 წლის აპრილსა და მაისში. ერთი და იგივე წესი ხოლერისათვის რად არის კანონიერი და კახეთის გზისთვის-კი—უკანონო?

თ. დ. გურამიშვილი. მართალია, შარშან ხოლერობის დროს მე დავთანხმდი 12,000 მანეთის მიცემაზედ, მაგრამ ეს სულ სხვა საქმეა. მაშინ სიკვდილ-სიცოცხლეზე იყო ლაპარაკი. ხალხი წყდებოდა და შველა უნდოდა. კაცი რო წყალში იხრჩობოდეს, მაშინ სწორედ ისეთი საქმე იყო. მართალია, მაშინ უკანონო საქმე ჩავიდინე ხალხის საშველად, მაგრამ სავალდებულოდ ხომ არ გამხდომია სამუდამოდ. ესეთს უკანონო საქციელის ჩადენა საჭირო არ არის, რადგან გაჭირვებაც არ არის და საბუთიც არა გვაქვს, კანონი დავარღვიოთ. მე იმას ვამბობ, რომ ჩვენ ვალი გვიკისრია, დაგვიარსებია სასწავლებლები და, თუ არ გვინდა გავაუქმოთ, აუცილებლად უნდა ვაძლიოთ საჭირო ხარჯი. მრავალი სხვა სასარგებლო საქმე გვაქვს, დედათა კომიტეტიც ხელში შემოგვყურებს, და რას ეგვანება, რომ ჯერ გამოურკვეველ საქმეს 15,000 შევწიროთ და სხვა საქმეები-კი დავამხოთ.

ი. ჯაბადარი. გზის უქონლობაც ხოლერაა იმ განსხვავებით-კი, რომ უგზოობის გამო ხალხი ნელა და შეუმჩნევლად წყდება. ეკონომიურად დაქვეითება იგივე სიკვდილია და დღეს სწორედ ამისთანა დღე ადგია კახეთს. როგორ შეიძლება არ მივეშველოთ 300,000 კაცს და გაჭირვებისაგან არ დავიხსნათ. თუ ერთხელვე დაეცა ხალხი და უფსკრულის გზას დაადგა, მაშინ თქვენი სასწავლებლებიც, დედათა კომიტეტიც და სხვა ყველაფერი ველარას გიშველის.

თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ საქმე საკმაოდ გამოირკვა და ახლა გარდავწყვიტოთო. 126 კენჭის უმეტესობით, წინააღმდეგ ათისა, გარდაწყდა, მიეცეს 15,000 მანეთი თავად-აზნაურთა მიერ დაარსებულს კომისიას, ანუ ვისაც შემდეგ მიანდობს თავად-აზნაურთა საერთო კრება.

შემდეგ კრება შეუდგა იმ საქმის განხილვას, გადავდოთ თუ არა 1,000 მანეთი ხიზანთა დებულების შეცვლის შესახებ მოხსენების შესადგენადო, რომელიც მთავრობას უნდა წარედგინოსო.

ა. ნ. ფურცელაძემ სთქვა, ძლიერ მიკვირს, რომ თავად-აზნაურობა ამ საქმისთვის ბანკს ფულსა სთხოვსო. ხიზანთა დებულების ასე თუ ისე შეცვლა თვით თავად-აზნაურთ შეეხება და ნუთუ ამ საქმისთვის საკუთრად თავად-აზნაურობა ვერ გამოიღებს 1,000 მანეთსა. ამას გარდა ამ ფულის თხოვნა, ცოტა არ იყოს, მოუხერხებლად მიმაჩნია: 1,000 მანეთი მივცეთ მცოდნე კაცსა და ხიზანთა დებულების შესახებ მოხსენება დაგვიწეროსო. ნუ თუ ჩვენ თავად-აზნაურთა შორის ისეთი კაცი არ მოიპოვება, რომ ეს მოხსენება უსასყიდლოდ დასწეროს.

თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ხიზანთა დებულების შეცვლას თვით ბანკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც, ვიდრე ხიზანთა საქმე სრულიად არ იქნება გამორკვეული, ბანკი ხიზანთა მიერ დასახლებულს მამულებს ვერ დაიგირავებს. ისეთი შემთხვევაც-კი იყო, რომ ბანკში დაგირავებული ერთი მამული ვერ გაიყიდა, თუმცა სესხით აღებული ფული მამულის პატრონთ არ შემოიტანეს. მამულის ყიდვის მსურველთ, შეიტყეს თუ არა ამ მამულით ხიზნები სარგებლობენო, იმწამსვე უარი სთქვეს მამულის ყიდვაზედ.

კრებამ გადასწყვიტა, გადადებულ იქმნას 1,000 მანეთი ხიზანთა დებულების შეცვლის შესახებ მოხსენების შესადგენადაო.

◆◆

დაბა ჵ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. სურები (ოზურგეთის მაზრა).— სურები ისეთი სოფელია, სადაც უჯახოდაც თავისუფლად შეიძლება სიარული და კიდევაც დანავარდობენ და პარპაშობენ აქ ისინი, რომელთაც ხელობას შეადგენს: უმეცრებით თვალ-აბმულ საწყალ ხალხს პერანგი გაჰხადონ და მუდამ იმას ცდილობენ, ხალხმა არ გაიღვიძოს, არ გამოფხიზლდესო.—აქაო და მთა არისო, სადაც ხალხი ისე ვერ გავერაგებულა და გაქნილა ეშმაკობა-ცბიერებაში, ბევრსა აქვს გახსნილი მადა ისარგებლოს ხალხის ასეთ გულუბრყვილობითა და დანდობით.—ყველა ის კაცუნები, რომელთ თვალშიაც სოფელი სათლელი დუმაა და რომელთაც დროშაზედ აწერია „სიმუხლო ჵ მიწყალეო, გაძღომისთვის ვისწავლეო“,—ყველა ეს წვრილმანი სულდგმულნი ჩვენს სოფელსაც არ აკლებენ თლასა და ყვავებივით მოსდევიან სოფელსა.—ზოგი მათგანი ერთმანეთში კეთილად განწყობილის, ჭირში და ლხინში ძმურად შეერთებულს ერთს მრევლსა ჰყოფს ორ ერთმანეთის მოსისხლე და მოურიგებელ ბანაკად და ერთს ძირეულს მამა-პაპეულს სალოცავსაც ორად უგლეჯს. ზოგი კიდევ, მშვიდობიანის კაცის ტანსაცმელით მორთული მშვიდობიანის ტუმრის სახით დაბრძანდება ერთი სახლიდგან მეორეში და ათვალიერებს, აბა სად რას გამოვრჩეო. ზოგი კიდევ სოფლადვე იჩენს დამქაშებს ჵ მათის დახმარებით სოფელს ხელს აღებინებს კუთვნილ მიწა-წყალზედ და სხვა. მაგრამ ყველა ეს მაგდენად გასაკვირველი არ არის. უფრო სამწუხარო ის გახლავთ, რომ ხალხის ჯანმრთელობისათვის მზრუნველ მოხელეთაც, რომელთაც მეტი გულშემატკივრობა მოეთხოვებათ, ჩვენი ჭირი ლხინად მიაჩნიათ. ამ ერთის კვირის წინად ხუნაგი გაჩნდა ჩვენს სოფელში და დიდად შეგვაწუხა: ხუთი სული იმსხვერპლა და ამდენივე სიკვდილის პირს წააყენა. მე ასე მგონია, როცა გადამდები რამ სნეულება გაჩნდება, უნდა მოხსენდეს, ვისაც ჯერ არს, და უნდა იქმნას მიღებული საჭირო ღონისძიება სენის მოსასპობად. მაგრამ ჩვენში ეს წესი არ გახლავთ. თუ არა გჯერათ, აი მაგალითიც. ოთხმოცდარვა წელში საქონლის ჭირი გაჩნდა ჩვენში, წამსვე მოახსენეს ეს ამბავი, ვისაც ჯერ არს, მაგრამ არაფერი გამოდნა. გავიდა ორი წელი და ოთხმოცდაათ წელში მოვიდა ვიღაც საქონლის ექიმი და ბრძანა: აბა, ავადმყოფი საქონელი მომგვარეთო. სოფელი ასეთს შემთხვევაში ყოველთვის გააგზავნინებს ხოლმე მამასახლისს მოხსენებას, მაგრამ დარწმუნებულია წინადვე, რომ აქედგან არაფერი გამოვა-რა და ისევ თავისავე ღონეს მიჰმართავს. ახლაც ასე მოხდა. ერთმა ხუნაგიან ავადმყოფის პატრონმა მოიწვია ჩოხატაურის ავადმყოფთა თავშესაფარიდგან ერთი ფერშალი, რომელიც მოვიდა სოფლად, ნახა ავადმყოფი, სამი მანეთი ჩაჯიბა და უკან დაბრუნდა. დალოცვილს შინ დაბრუნებისას ეამბნა მაინც ან ექიმისთვის, ან თავის ამხანაგებისთვის, იქნებ მათ შორის აღმოჩენილიყო ღვთისნიერი კაცი და ჩვენკენ გადმოეხედნა. ღმერთმა დაუმადლოს ისევ კერძო ფერშალს ბ. ა. რ—ს, რომელმაც თავისივე წამლით მიუპატიჟებლად მიეშველა გაჭირებულებს და სოფელსაც შესაფერი დარიგება მისცა.

◆◆

რუსეთი

ამ დღეებში რუსეთის მეცნიერებას დააკლდა გამოჩენილი და დასავლეთ ევროპაშიაც ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე პროფესორი იანსონი, რომელიც 31 იანვარს გარდაიცვალა. იანსონმა ჯერ კიევის გიმნაზიაში მიიღო სწავლა და შემდეგ კიევისავე უნივერსიტეტში დაამთავრა. ცოტა ხანს შემდეგ პეტერბურგს მიიწვიეს უნივერსიტეტში პროფესორად. იანსონი ჯერ ისევ ახალგაზდობაში გაიტაცა სტატისტიკის მეცნიერებამ. საზოგადოდ რუსეთში იანსონის დრომდე სტატისტიკა ჯერ არ იყო შემუშავებული და, შეიძლება ვსთქვათ, სრულიად ნიადაგიც-კი არა ჰქონდა. იანსონმა შეისწავლა დასავლეთ ევროპის საპოლიტიკო-საეკონომიო მეცნიერება და სტატისტიკა. ამ შრომამ იანსონს ამაოდ არ ჩაუარა. სულ პირველად დაიბეჭდა იანსონის თხზულებანი: „Теорія ренты – Рикардо“ და „Направленіе въ научной обработкѣ нравственной статистики“. ამ თხზულებათა შორის უფრო საყურადღებო მეორე, რომელშიაც ავტორი აღნიშნავს ყველა იმ ღონისძიებას, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ სასტატისტიკო ცნობათა შეკრების დროს. 1872—73 წლებში ჟურნალ „Знаніе“-ში დაიბეჭდა რამდენიმე წერილი იანსონისა შემდეგის სათაურით: „Сравнительно статистическіе этюды“. ამ წერილებში იანსონი არკვევდა დასავლეთ-ევროპის სხვა-და-სხვა სახელმწიფოს მცხოვრებთა გამრავლებას. 1878—1880 წლებში იანსონმა დაჰბეჭდა წიგნი: „Сравнительная статистика Россіи и Западно Европейскихъ государствъ“. პროფესორი ჩუპროვი ამბობს ამ წიგნის შესახებ, რომ ასეთი შესანიშნავი და საყურადღებო წიგნი ევროპაშიაც არ დაბეჭდილაო. იანსონის სხვა თხზულებათა შორის საყურადღებოა კიდევ წიგნი: „Теорія статистики“. ეს წიგნი სამჯერ იქმნა დაბეჭდილი. 1892 წლის მიწურულში რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ სასარგებლო შრომისათვის დააჯილდოვა იანსონი პრემიითა და ოქროს მედალით. იანსონის ხელმძღვანელობით და მეთაურობით დაარსდა პეტერბურგს და შემდეგ რუსეთის სხვა ქალაქებშიაც სასტატისტიკო ბიურო და განყოფილებანი. იანსონმა რამდენჯერმე შემოიარა აღმოსავლეთ რუსეთის გუბერნიები და შეკრიბა მრავალი ცნობა რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის შესახებ და შემდეგ ამ საგანს რამდენიმე საგულისხმიერო წერილი უძღვნა. მაგრამ ყველაზედ უფრო შესანიშნავი და საყურადღებო წიგნი იანსონისა არის „Опытъ статистическаго изслѣдованія о крестьянскихъ надѣлахъ и платежахъ“. ამ წიგნში იანსონი ამტკიცებს, რომ რუსეთის გლეხობას მიწა ძლიერ ცოტა აქვს და გარდასახადი-კი დიდი აწევსო. საქმის ასეთი ვითარება ძლიერ ცუდს მომავალს გვიქადისო, სთქვა იანსონმა მოუსავლობის ორის წლის წინად, და ეს წინასწარმეტყველება, როგორც მკითხველმა უწყის, უკვე გამართლდა კიდეც.

◆◆

უცხოეთი

ინგლისი. ორის კვირის წინად დაიწყო სესსია ინგლისის პარლამენტისა. აუარებელი ხალხი გათენებიდგანვე გარს შემოერტყა პალატის შენობას და მოუთმენლად ელოდდა სესსიის დაწყებას. დეპუტატები დილა-ადრიანად მიდიოდნენ პალატაში, რომ უკეთესი ადგილი დაეჭირათ. კონსერვატორი სიტონკარრი დილის 5 საათზედ მოვიდა პალატაში და კარის კაცი გამოაღვიძა, კარი გამოაღეო. ირლანდიელი ტენნერი 7 საათზედ უკვე პალატაში იყო და რომ თავის მეგობრისთვის ადგილი დაეჭირა, ერთს სკამზედ ქუდი დასდო, მეორეზედ პალტო, მესამეზედ სერთუკი და ჟილეტკის ამარა დასეირნობდა პალატის დარბაზში. ცოტა ხანს შემდეგ მოვიდა პალატაში ჩემბერლენი. (უნიონისტი) და თან აუარებელი ქუდები მოიტანა თავის მეგობრებისა და სკამებზედ დააწყო, ნიშნად იმისა, რომ ეს ადგილები უკვე დაჭერილიაო.

10 საათზედ პალატის წინ შეგროვდნენ დეპუტატები. სპიკერის ბრძანებით, სწორედ 12 საათზედ ერთად გააღეს პალატის დარბაზის ყველა კარები, ხალხი ერთმანეთს მიაწვა. ინგლისის დარბაისელნი ლორდები ერთმანეთს თავზედ ახტებოდნენ და ისეთი აურ-ზაური მოახდინეს, რომ პოლიცია იძულებულ შეიქმნა პატივცემული ლორდები ჯარის კაცებივით გაემწკრივა და თითო-თითო შეეშვა პალატაში. სულ ბოლოს შემოირბინა ჭარხალსავით გაწითლებულმა პრინცმა უელისამ. ეტყობოდა, ადვილად არ მოაღწია პალატის დარბაზს; ეშინოდა, ვაი თუ დავიგვიანე ჵ გლადსტონმა თავისი სიტყვა უკვე დაიწყოსო. ბედმა არ უღალატა. დიდებული მოხუცი მხოლოდ სამის წუთის შემდეგ გამოჩნდა პალატაში. ვისაც პარლამენტის კრების დაწყებამდე გლადსტონი ორი-სამის დღის წინად ენახა, ყველა ლომსა და არწივს ადარებდა. გლადსტონი რომ ამ კრებაზე გენახათ, დარწმუნდებოდით, ეს შედარება მართლა რომ უტყუარიაო. გლადსტონს თითქოს სახეზედ ეწერა, ამ ადამიანში მთელი ქვეყნის ძალაა შეკრებილიო. მის თვალებში იხატებოდა უძლიერესი ძალ-ღონე ადამიანის უკვდავის სულისა. მაშინ, როდესაც მთელი კრება პარლამენტისა მოუთმენლობისგან საშინლად იყო აღელვებული, თვით გლადსტონი უცნაურის სიმშვიდით შეუდგა საქმეს.

ძნელად წარმოსადგენია, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა პარლამენტზედ დიდებულ მოხუცის სიტყვამ. გლადსტონმა რომ სიტყვა გაათავა, რამდენსამე ხანს მთელი პარლამენტი გაჩუმებული იყო, ყველას სუნთქვა შეეხუთა და ხმა ვერავის ამოეღო. მხოლოდ ცოტა ხანს შემდეგ იგრიალა მთელმა პალატამ. მთავრობის წარმომადგენელნი, ოპოზიცია, ირლანდიელები, ყველანი აღტაცებაში იყვნენ. პალატის დარბაზში ერთს წამსაც ვერავინ ვერ გაჩერდა და ყველა კარებს მიაწყდა, ცოტა ხანს გარედ გავიდეთ და აღელვებული გული დავამშვიდოთო.

ავსტრი ვენგრია. იუსტიციის სამინისტროს ბიუჯეტის შესახებ კამათობის დროს მინისტრმა შენბორნმა სთქვა, რომ სამინისტრომ უკვე შეიმუშავა ახალი კანონ-პროექტები სამოქალაქო სასამართლოების წესწყობილების შეცვლისა: რაიცა შეეხება სისხლის სამართალის შეცვლას, ამ საქმის პროექტის განხილვა პარლამენტის კომისიას ჯერ არ დაუმთავრებიაო. შემდეგ მლადოჩეხის ვაშატის სიტყვის გამო დიდი არეულობა მოხდა. ორატორმა ჩამოსთვალა რამდენიმე მაგალითი, როცა სასამართლოს უარ-უყვია ჩეხური ენა და სხვათა შორის წაიკითხა უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანება, რომელშიაც განსაზღვრულია გერმანული და ჩეხური ენები. ჩეხურს ენას თავმჯდომარე უცხო ენას უწოდებს. ამ სიტყვების გამო ასტყდა ყვირილი: „ჩვენ თვით ავსტრიაში უცხოელებს გვეძახიან! როცა გარდასახადს გვართმე-

ვენ და ქვეყნის დაცვისათვის სისხლის ღვრასა გვთხოვენ, მაშინ გვაქებენ, თავს გვიქონამენ და სხვა საქმეში-კი უცხოელებს გვეძახიან. ეს უპატიოსნებაა. საზიზღარი ბრბო უსინიდისო მოხელეთა! და სხვა.. რამდენსამე დეპუტატს უბრძანეს, წესიერებას ნუ არღვევთო.

◆

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ, თქვენის გაზეთის საშუალებით, ჩვენი უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ იმათ, რომლებმაც ქუთაისის საკვირაო სკოლის წიგნთ-საცავის დასაარსებლად არ დაიშურეს შემდეგ შეწირულების გამოგზავნა:

ა) „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ"—ოცი ცალი დედა-ენა—ი. გოგებაშვილისა და მასთან ორ-ორი ცალი: პატარა მოამბე, შალვას თავ-გადასავალი, ცხვარი, კრილოვის არაკები, ხატაური, რობინზონ კრუზე, რ. ერისთავის ლექსები, წითელი ფარანი და ჭამლეტი.

ბ) »მწყემსის« რედაქტორმა დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ—ორმოცდა ხუთი მანეთის სხვა-და-სხვა საკითხავი და სახელმძღვანელო წიგნები.

გ) ალექსანდრე იაკობის ძე აკოფოვმა—ორი პატარა ამბავი, მუნწი, დაბადება და აღზრდა ეკლე ბატონიშვილისა, მშური სიტყვა, ამპარტავანი გიორგი, კიკოლას ნაამბობი, პირუტყვების ამბები, პატიოსანი ადამიანი, ყანნა დარჩ და კრილოვის არაკები. დ) ანნა იაკობის ასულმა ნაკოლაძემ—ნაქვთები, ბეჟანიანი, მარიანი, საქართველო დავარდნილია, სტეფენსონი, გლოვა ილაკრი მეორისა, ბანჯღვლიანი ფუტკარი, მოკლე ახსნა საღმრთო სჯულისა, ლომკაცი, იგავ-არაკები და იავნანამ რა ჰქმნა? ე) ივანე დავითის ძე კილაძემ—ორმოცდა ორი სხვა-და-სხვა ქართული წიგნები. ვ) №-№—მესის ამბავი, ლენტის მსგავსი ჭიები, ბამბა და მისი მოყვანა, პირუტყვების მოამბე, ანატომია კაცისა, ქართველი ქალები, კიკოლას ნაამბობი, კრილოვის არაკები, ბერლინის გარემოცვა, საუკეთესო ცოდნა, ქიტესა, ბედუკუღმართი ჯაყოზობა, სურათი გლეხის ცხოვრებიდგან, სურამის ციხე, ამპარტავანი გიორგი, ბედი უბედურთა, დავითაშვილის ხაწყრები, აღნიაშვილის ზღაპრები, ღამის მეხრე ცეცო, პატიოსანი ადამიანი, ქაჯანა, ალი, ყანნა დარჩ, გადია, ხატის მიზეზი, პატარა მოამბე, ბუხების კარი, იავნანამ რა ჰქმნა, ათი სამღერი, ერთი შუშა მელანი და თორმეტი კალამი თვისის სახელურით. ზ) ეკატერინე იაკობის ასულმა ნიკოლაძემ—თვრამეტი წიგნი ჟურნალის „ქართული ბიბლიოთეკა". ჱ) კარლამ ჭილაძემ—გორის ციხე, საყმაწვილო ამბები, გადია, თორნიკე ერისთავი, თამარიანი და მაკარიაზი. თ) პელაგია მიხეილის ასულმა სარაჯიშვილმა—ხუთი წიგნი მოლაღური და სამი ცალი ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი მოთხრობანი. ი) წიგნის გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობამ—სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდგან დუტუ მეგრელისა და დედაშვილის თავ-გადასავალი. ია) თომა აბრამის ძე მთავრიშვილმა—გლახას ნაამბობი და კაცია ადამიანი. იბ) ივანე იოსების ძე კაუხჩევმა—ათი ცალი „ცეცხლი თუ გაძლიერდა, ველარ დააქრობ". იგ) № ჟურნალი „Русская мысль" ექვსი წლისა. იდ) №№—სხვა-და-სხვა წიგნები რიცხვით ოც-და-ცამეტი.

იმედი გვაქვს, რომ ამ ახლად დაარსებულ წიგნთ-საცავის კეთილ-დღეობისათვის სხვებიც არ დაიშურებენ თავიანთის მხრივ თითო-ოროლა წიგნის გამოგზავნას, რითაც დიდ შემწეობას აღმოუჩენენ ქუთაისის საკვირაო სკოლის მოწაფეებს.

საკვირაო სკოლის დამაარსებელნი.

(მარიამ ოტიას ასული ვარდოსანიძე, ვერა ილარიონის ასული ჯაფარიძე და მარიამ ბუჭუას ასული იოსელიანი).

ქ. ქუთაისი
1893 წ. თებერვლის 2 დღესა.

◆

დეპეშა

13 თებერვალი

პეტერბურგი. წარმომადგენელად ბირჟის კომიტეტისა სამის წლით არჩეულ იქმნა მოქალაქე ალექსანდრე იაკობის ძე პროხოროვი.

ბერლინი. გუშინ პრუსიის მინისტრთა კრებამ შეიმუშავა გერმანიის პასუხისა რუსეთისადმი სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ. როგორც ამბობენ, ეს პასუხი ოთხშაბათს გაიგზავნება პეტერბურგს.

ვენა. პრერაში დაპატიმრებულ იქმნა ხალხის ამბოხებელი იოსებ ფუიტეკი, რომელმაც შარშან მართლმადიდებლობა მიიღო; იმას ჰბრალდება ღალატობა სახელმწიფოსადმი და ამისათვის სამხედრო სამართალში მიცემულ იქმნა.

პეტერბურგის ბირჟა, 9 თებერვ.

	მყიდველისა.	გამყიდველისა	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	7,54	7,57	—,,
ტრამოყნის კუპონები .	151	151¾	—,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	1,08	1,10	—,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	—,,	—,,	240
—მეორისა	—,,	—,,	227¾
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . .	—,,	—,,	195¾
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%	102	—,,	—,,
5%	100	—,,	—,,
ქუთაისის ბანკისა 6% .	102	—,,	—,,
5%	100	—,,	—,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	99¼	—,,	—,,

ივერიის ფოსტა

ს. გ. ფ—ს. თქვენ მიერ გამოგზავნილ ლექსში ამოვიკითხეთ:

„და ის მით მოკვდეს მითაო!
ეს სთქვა და სული ფრინდაო
და რო მისი თქმა სმენოდეს...
—ეს, ის, მით, მისი, მითაო!"

იქნება ნაცვალ სახელის ბრუნვა კარგად იცოდეთ, მაგრამ ლექსი-კი არ მოგვეწონა და ამიტომ ის

ნაგვის გოდრისკენ ფრინდაო!

◆

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის . . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუადღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

განცხადებანი

ფოთის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამ წლის 14 მარტს, დილის 10 საათზედ, დანიშნულია საზოგადო კრება ფოთის სამოქალაქო გამგეობის დარბაზში.

საგანი კრებისა

1) 1892 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.

2) საზოგადოების საბჭოს ოთხი დეპუტატის არჩევანი ნაცვლად იმათი, რომელთაც სამსახურის ვადა გაუთავდათ.

3) გამგეობის ორი დირექტორის არჩევანი ნაცვლად იმათი, რომელთაც სამსახურის ვადა გაუთავდათ.

4) სარევიზიო კომისიის სამი წევრის არჩევანი და მათთან სამი კანდიდატისა.

5) დამტკიცება 1893 წლის ხარჯთაღრიცხვისა.

ამასთანავე საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ იმ წევრთ, რომელთაც მინდობილი ექნებათ კენჭი, თანახმად საზოგადოების წესდების, 36 მუხლის შენიშვნისა უნდა წარმოუდგინონ გამგეობას რწმუნების ქაღალდი სამის დღით ადრე, ვიდრე საზოგადო კრება დაიწყებოდეს, ესე იგი, არა უგვიანეს 11 მარტისა. (3—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან.

ტფილისის გუბერნატორის მიერ გამოგზავნილ ქაღალდიდგან 1893 წლის 10 თებერვლის თარიღით № 46, სჩანს, რომ ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ 1893 წელს 30 იანვარს დაადგინა: სთხოვოს ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის ახალ დებულების თანხმად შედგენილ საარჩევნო სიებთან ერთად წარუდგინოს გუბერნატორს ცნობანი იმ ამომრჩეველთა შესახებ, რომელნიც ქალაქის სასარგებლოდ შევსებულს გარდასახადს (ნედოიმკას) შეიტანენ იმ დღემდე, ვიდრე გუბერნატორს წარედგინება ამომრჩეველთა სიები".

აუწყებს რა ამას ქალაქის გამგეობა იმ ამომრჩეველთ, ვისზედაც ნედოიმკა ირიცხება, ამასთანავე დასძენს, რომ საარჩევნო სიები წარედგინება გუბერნატორს გამოცხადების შემდეგ ორის კვირის ვადაზედ, ე. ი. 1893 წლის 1 მარტს; ამიტომ ნედოიმკების შემოტანა შეიძლება გამგეობის კასსაში 28 თებერვლამდე და თვით ამ დღესაც. (3—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან.

ქალაქის გამგეობა აცხადებს რა 14 თებერვალს საარჩევნო სიას, შედგენილს თანხმად 11 ივნისის 1892 წლის ქალაქის დებულებისა, ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევანებისთვის მომავალ ოთხის წლისთვის 1892—1897 წწ., ამასთანავე აუწყებს ბ-ნთ ამომრჩეველთ, რომ ქალ. დებულ. 36 მუხლის ძალით გამოცხადების დღიდგან, ე. ი. 1893 წლის 1 მარტიდგან, ორის კვირის განმავლობაში მიიღებს ამომრჩეველთა შენიშვნებს შესახებ სიების შესწორებისა და შევსებისა და ვინც უკმაყოფილო დარჩება გამგეობის პასუხით, შეუძლიან ქალაქ. დებულ. 37 მუხლის ძალით პასუხის მიღების დღიდგან არა უგვიანეს შვიდის დღისა თავისი საჩივარი მიართვას ბ-ნ გუბერნატორს.

საბოლოოდ გასწორებული საარჩევნო სია ცალკე გამოცხადდება და შემდეგ აღარ შეიძლება მისი შეცვლა და შევსება. (3—3)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—17)

SAVON GLYCERINE
BROCARD & Cie A MOSCOU
ГЛИЦЕРИНОВОЕ МЫЛО
БРОКАРЪ и Ко ВЪ МОСКВѢ

ИЗВѢСТНОЕ СВОИМЪ КАЧЕСТВОМЪ
ГЛИЦЕРИНОВОЕ МЫЛО
и
ВСЕВОЗМОЖНЫЕ БЛАГОВОННЫЕ
и
КОСМЕТИЧЕСКІЕ ТОВАРЫ
ФАБРИКИ
БРОКАРЪ и Ко
можно получать во всѣхъ лучшихъ магазинахъ
РОССІЙСКОЙ ИМПЕРІИ.

დაიბეჭდა და იყიდება
ტფილისსა და ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიებში
წიგნი:
თამარ მეფე
(1184—1213)
შედგენილი
დ. კარიჭაშვილის მიერ
ფასი სამი შაური

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„ივერია"

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

12 თვით . . .	10 მ.—კ.	6 თვით . . .	6 მ.—კ.
11 ,, . . .	9 ,, 50,,	5 ,, . . .	5 ,, 50,,
10 ,, . . .	8 ,, 75,,	4 ,, . . .	4 ,, 75,,
9 ,, . . .	8 ,, —,,	3 ,, . . .	3 ,, ,0,,
8 ,, . . .	7 ,, 25,,	2 ,, . . .	2 ,, 75,,
7 ,, . . .	6 ,, 50,,	1 ,, . . .	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ".

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვარობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: გოლოვინის პროსპექტზე, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკის სახლებში № 21.

Доз. ценз. Тифлисъ, 16-го Февраля 1893 г.
სტამბა მ. შარაძისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.